ბრძანება:**ბ14. 142421411**
თარიღი:**01/08/2024**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების მსურველი პირის შეფასების კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესი“-ს 12-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების მსურველი პირის შეფასების კომისია (შემდგომში - „კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:

1.1. კომისიის მუდმივმოქმედი წევრები:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

დ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

1.2. კომისიის არამუდმივმოქმედ წევრებად განისაზღვროს გამოცხადებული კონკრეტული სტაჟირების ვაკანსიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი.

2. განისაზღვროს კომისიის საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგი წესი:

ა) კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი;

ბ) კომისია, როგორც წესი, გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე;

გ) კომისია უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მიიღოს კენჭისყრის საფუძველზე; ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას

მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა;

დ) კომისია აფასებს სტაჟირების მსურველი პირის შესაბამისობას დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;

ე) კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი;

ვ) კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება ეფუძნება გასაუბრების შედეგებს;

ზ) კომისია უფლებამოსილია, კანდიდატის შეფასება განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით;

თ) კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი;

ი) კომისია თავის საქმიანობაში, გარდა ამ პუნქტით განსაზღვრული რეგულაციებისა, ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესი“-თ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი